პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 287 (19129) პარასკევი, 14 დეკემბერი, 1984 წელი. ფასი 3 კაპ.

თაობის აღზრდა და პერსპექტივები

თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმში ამ ბოლო დროს ახმაულობის გზაზეა, აქ ბევრი მეცნიერული სიახლე იქმნება და ხანხორციელდა.

ამ სურათზე აღბეჭდილი არიან თელეთელთა ავტომატიზებული ფერმის მოწინავე მწველავები მერი პერიანიძე, სიმონა ოქრაძე, ირა გოგებაშვილი, თამარ წამალაშვილი, ნინო წიკლაური და ირა ვართანოვა.

ს. ბილაძის ფოტო.

(თელეთელთა საქმიანობაზე, შრომასა და ხწავლაზე, ყოფა-ცხოვრებაზე გთავაზობთ „კომუნისტის" კოლექტიურ რეპორტაჟს. იხ. მე-2 გვ.).

დავამკვიდროთ კომუნიზმის იდეალები

[illegible]

ОФПРАВДА

18 დეკემბრის მოწინავე

[illegible]

● რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, მეახრულეს ეთერზეთოვანი კულტურების დამზადების გეგმა და სახელმწიფოს 26,4 ათასი ტონა პროდუქცია მიჰყიდეს გეგმით გათვალისწინებული 26 ათასი ტონის ნაცვლად.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩნენ თავი მარნეულის და ლაგოდეხის რაიონების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელებმა.

ეთერზეთოვანი კულტურების დამზადება გრძელდება.

შრომითი გამარჯვებების პატაკები

საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობით

● საჩხერით გაერთიანება „საქეთერზეთმრეწვში" გვაცნობეს, რომ ბევრმა შრომითმა კოლექტივმა გაანაღდა წლის გეგმები და ახლა გადიდებული სოციალისტური ვალდებულებების შესასრულებლად შრომობენ. გაერთიანებაში შემავალ საბჭოთა მეურნეობა-ქარხნებს გადაწყვეტილი აქვთ თითქმის ორი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია აწარმოონ.

დარგის მუშაკების წინაშე დგას ამოცანა, რომ გაისად დაამზადონ 30 ათას ტონაზე მეტი ეთერზეთოვანი ნედლეული, რათა წარმოებით დაამთავრონ ხუთწლედი.

● რესპუბლიკის მიწათმოქმედებმა, როგორც საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო იუწყება, ვადამდე შეასრულეს სახელმწიფოსათვის შაქრის ჭარხლის მიყიდვის საგეგმო დავალებები. ეს კულტურა 90 ათასი ტონა დამზადდა.

ამ ფაქტის განმარტებისას საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მარცვლეული, ზეთოვანი და ტექნიკური კულტურების მთავარი სამმართველოს უფროსმა ზ. ცქიტიშვილმა თქვა:

— წარმატება მეჭარხლეთა თავდადებული შრომისა და გაზრდილი ოსტატობის შედეგია. გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს ზაშრის რაიონის მშრომელებმა. 15 ათასი ტონის ნაცვლად მათ დაამზადეს 16.146 ტონა პროდუქცია. განსაკუთრებით კარგად იშრომეს კოლმეურნეობა „ზემო ქართლის" მეჭარხლეებმა, რომლებმაც მიაღწიეს ჭარხლის რესპუბლიკაში ყველაზე უხვ ჰექტარობრივ მოსავლიანობას — 500 ცენტნერზე მეტს, რის შედეგადაც დავალება 700 ტონის გადაჭარბებით შეასრულეს.

შეჯიბრების ავანგარდში არიან გორისა და კასპის რაიონების სოფლების ხელოსნები და ქვემო ქალის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები.

შაქრის ჭარხლის დამზადება გრძელდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიის შემადგენლობის შესახებ

[illegible]

„სოფლის ცხოვრების" რედაქციის კოლექტივისაგან;

დარბაისელი სიმონ მარტიროსის ძე, ახალციხის რაიონის წყალთბილის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის მემინდვრეობის ბრიგადის ბრიგადირი, — ახალციხის რაიონის წყალთბილის მეცხოველეობის საბჭოთა მე-[illegible]

[illegible]

სის 26 კომისრის რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან;

მახათაძე ბიჭიკო შალვას ძე, ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ოსტატის თანაშემწე, — ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების მუშებისა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და მოსამსახურეების კო-[illegible]

[illegible]

შოვანი სამხედრო ოლქის პოლიტიკური სამმართველოსაგან;

ხუხნაიშვილი ემილ ალექსის ძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისაგან;

[illegible]

— ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის [illegible] ისაგან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1984 წლის 13 დეკემბერი.

დამტკიცდა ცენტრალური საარჩევნო კომისიები

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა დაამტკიცეს ავტონომიური რესპუბლიკების მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოების არჩევნების ცენტრალური საარჩევნო კომისიების შემადგენლობები.

აფხაზეთის ასსრ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დამტკიცებულია ნ. ნ. ბეჟანია — ქარხანა „სოხუმხელსაწყოს" მუშა; აჭარის ასს რესპუბლიკაში — ბათუმის ელექტრომექანიკური ქარხნის მუშა თ. ი. მახარაძე. (საქინფორმი).

რესპუბლიკური შეჯიბრების გამარჯვებულნი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა სამინისტროებსა და უწყებებს შორის რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულებად 1984 წლის იანვარ-სექტემბრის შედეგების მიხედვით ცნეს:

[illegible]

ეკისრებათ:	გამარჯვებულები:
[illegible]	[illegible]

ლენტეხის — ჩხოროწყუს | ლენტეხის
თელავის — ზესტაფონის | ზესტაფონის
ახალციხის — ქობულეთის | ქობულეთის
ხობის — ხილნალის | ხობის
ხოსუმის — ზელვაჩაურის | ზელვაჩაურის

[illegible]

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეათე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეათე სესია გაიხსნება 1984 წლის 15 დეკემბერს დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 14 დეკემბერს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ტელეფონი: 99-08-54, 99-92-79.

15 დეკემბერს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 8 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1984 წლის 15 დეკემბერს დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

მეურნეობის ინტენსიფიკაციას — საყოველთაო-სახალხო ხასიათი!

თელეთური ამბავი ბიჭვინთაში დაიწყო. საიდან სადაო? სად თელეთი და სად ბიჭვინთა, იკითხავს მკითხველი. საქმე ის არის, რომ ამას წინათ ბიჭვინთაში ჟურნალისტთა ტრადიციულ შეკრებაზე სხვებთან ერთად თელეთის ექსპერიმენტული მეურნეობა-ტექნიკუმის გენერალურმა დირექტორმა ბიძინა მოისწრაფიშვილმა ისე საინტერესოდ, დამაჯერებლად და ხატოვნად ილაპარაკა თავიანთ საქმიანობაზე, ისე ლაკონიურად უპასუხებდა აგრარიკოს-ჟურნალისტთა შეკითხვებს, რომ არ შეიძლებოდა თელეთურ ექსპერიმენტს მსმენელების ყურადღება არ გამოეწვია. ჰოდა სემინარის ხელმძღვანელი, როცა თბილისში დაბრუნდა, ბიჭვინთაში მიღებული ალფროთოვანება ჩვენც გადმოგვდო და გვირჩია თელეთში წავსულიყავით, ახლოს გავცნობოდით იქაურ მეცხოველეთა, მემინდვრეთა, ტექნიკუმელთა საქმიანობას, გვენახა თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვილი საწარმო-სასწავლებელი. ერთი სიტყვით, დავრწმუნებულიყავით თელეთის აღზევებასა და მის პერსპექტივებში.

ასე აღმოვჩნდით რედაქციის რვა მუშაკი თელეთში, სადაც მთელ დღეს ვეცნობოდით მეურნეობა-ტექნიკუმის საქმიანობას, თან ვეკითხებოდით, გვპასუხობდნენ, ჩვენც ბლოკნოტში ვიწერდით ყოველივე იმას, რაც მკითხველისათვის და უწინარესად კი სოფლის მეურნეობის მუშაკებისათვის იქნებოდა საინტერესო.

თელეთი, რომ იტყვიან თბილისის ყურისძირშია. ახალგაზრდულ ქალაქ ბორის ძნელაძეს რომ გასცდებით, გზის ორივე მხარეს სანახები კუმისამდე თელეთელთა საექსპერიმენტო საძუარია.

პირველად პულტდარბაზში შევედივართ. ბიძინა მოისწრაფიშვილია ჩვენი მეგზური, რომელიც ერთობ ენამჭევრი და გონებამახვილი კაცია. ისე რატომ გაუჭირდებოდა ლაპარაკი, იმ სამუშაოზე, რომელსაც ყოველდღე თავის თანამოაზრე სპეციალისტებთან ერთად თავად ხელმძღვანელობს.

— ჩართეთ ტელეკამერა და გვაჩვენეთ, რა ხდება ბოსლებში, საბძორებში, — განკარგულებას იძლევა გენერალური დირექტორი. ბოსლებში ყველაფერი ავტომატიზებულია: საკვების დამზადება — კომბინირებულისა, უხეშისა თუ წვნიანისა; საკვებს სხვაგან როდი ეძებენ, თელეთის მინდვრები ისე გარდაქმნეს, რომ ყველაფერი იქიდან მოდის. ა, ბატონო, ეს გრძელი სათივეები, დაწნეხილი ნამჯის გრძელი ზვინები, სავსე სასენაჟე ტრანშეები, კომბინირებული საკვებისა და ბალახის ფქვილის საამქროები, დამზადებული პროდუქციით სავსე საწყობები! — ყველაფერი თელეთურია.

საკვების ბაგებში ჩამორიგება, ბოსლის დასუფთავება ძველებურად ხელით როდი ხდება. გრძელ სუფთა ბაგებს მანქანა ჩამოუვლის და მექანიზატორი ხან სენაჟს, ხან თივასა და ნამჯას, ხან კომბინირებულ საკვებს ისე ჩამოურიგებს, ნამცეცს ძირს არ დააგდებს. ბაგებში ქვამარილი მუდმივადაა, წყალი? პირუტყვი ისეა გაჭერთილი, რომ დრუნჩს დაჭერს იქვე გვერდით ბაგაზე დამაგრებულ ჯამფილას და უჟანგიანი საკვებისაგან გულგაბურებული ხარბად დაეწაფება სუფთა წყალს...

...რგი სანიტარიული პირობებია და პირუტყვიც ნორმალურად მატულობს, კარგად სუქდება.

გენერალური დირექტორი საკვებდასამზადებელ საამქროებს გვათვალიერებინებს.

— ჩვენი პირუტყვი კარგად რომ გამოიყურება საკვებდამამზადებელთა დამსახურებაც არის. რა თქმა უნდა, საკვების ყუათიანობა მინდვრად იწყება. სწორედ მემინდვრეებზეა დამოკიდებული საკვები ხარისხიანი იქნება თუ არა.

სამართავი პულტის დარბაზში დიდი დაფაა, სადაც ღილაკზე თითის დაჭერით შეიძლება სასურველ ნაკვეთში მიუშვან სარწყავი წყალი, რომელიც მტკვრიდან სატუმბავი დანადგარებით ამყავთ თელეთში. აქ სარწყავი წყალგაყვანილობა მიწაშია და მთელი მინდორი დაწვიმებით ირწყვება. ტელეეკრანზე კი ჩანს, თუ როგორ მუშაობს ესა თუ ის სარწყავი მფრქვეველა.

სარძევე საამქროს უფროსი გია ბაქრაძე გენერალური დირექტორის ნათქვამს ადასტურებს და დასძენს: ჩვენი ფერმის რძე, მეცხოველეთა ენით რომ ვთქვათ, ნამეტანი ცხიმიანია, რძეს 4 პროცენტამდე ცხიმი აქვს. ეს კი საქართველოს პირობებში საუკეთესო მაჩვენებელია.

— სამუშაოთა მთელი ციკლი დილის ექვსი საათიდან საღამოს ათ საათამდე გრძელდება. დღეში ძროხებს ორჯერ ვწველით, პასტერიზაციის შემდეგ დილეგის ქარხანას ვაბარებთ, — ამბობს მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსი მეჩედ მამედოვი.

ასეთი კარგი ხარისხის რძე გაქვთ, ნუთუ არ შეიძლება, მეურნეობამ თბილისში გაუხსნან საფირმო მაღაზია? ამისათვის ყველა საშუალება გაქვთ, გარდა რძის ჩამოსხმისა და რძის სხვადასხვა ნაწარმის საამქროსი. ამ საამქროს გაკეთება, ვფიქრობთ, არ...

...ლების გაზიარება, მაგრამ, როგორც ვიცით, დღემდე თელეთელების შრომას მოგება არ მოუტანია; პროდუქტების გაიაფება, შრომის ნაყოფიერების გადიდება აქამდე სახარბიელო არ იყო. უამრავი თანხები გაიღო სახელმწიფომ და უკუგება კი არ ჩანდა...

რეპორტაჟი, რომელშიც „კომუნისტის" რედაქციის რვა თანამშრომელი მონაწილეობდა

თელეთის აღზევება და პერსპექტივები

...წყოთ და მომხმარებელს მიაწოდოთ თქვენეული რძე, რომლის ბოთლსაც დაამშვენებდა იარლიყი წარწერით — „თელეთი".

რჩევაც გვინდა შემოგკადროთ: მოლდავეთის დედაქალაქ კიშინიოვთან სულ ახლოს, სოფელ კოდუშნოში არის მეურნეობა-ტექნიკუმი, მას საკუთარი უზარმაზარი ქარხანა აქვს, ყურძენს თვითონ ამუშავებენ და ღვინოსაც თვითონ ასხამენ. მართალია მეურნეობა-ტექნიკუმი მევენახეობა-...

სურათებზე: ფერმაში საკვების მექანიზებული ჩამორიგება; მეურნეობა-ტექნიკუმის გენერალური დირექტორი ბიძინა მოისწრაფიშვილი კონფერენცდარბაზში დილის თათბირზე; მეცხოველეობის კომპლექსის მმართველი გ. თორდინავა და ლ. ჩაჩანიძე ავტომატურ სამართავ პულტთან.

ს. ქილაძის ფოტო.

საქმე და სპეციალისტი

სწორი ალღო, პლუს გამბედაობა

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების შედეგები

„საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა მორიგი არჩევნების მოწყობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1984 წლის 3 სექტემბრის ბრძანებულების შესაბამისად 1984 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართა საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

მთლიანად საქართველოს სს რესპუბლიკაში რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოებში არჩეულია 12670 სახალხო მსაჯული. სახალხო მსაჯულთა შორის 4991 მუშაა (39,4 პროცენტი), 1408 — კოლმეურნე (11,1 პროცენტი), 6072 — მამაკაცი (47,9 პროცენტი), 6598 — ქალი (52,1 პროცენტი), 6187 — სკპ წევრი და წევრობის კანდიდატი (48,8 პროცენტი), 6483 უპარტიო (51,2 პროცენტი), 2786 — 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდა (22 პროცენტი), 1351 — სრულიად საკავშირო ალკკ წევრი (10,7 პროცენტი). სახალხო მსაჯულთა შემადგენლობა განახლდა 58 პროცენტით.

სახალხო მსაჯულთა არჩევნები ორგანიზებულად, საქართველოს სსრ კონსტიტუციის, „საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების შესახებ" საქართველოს სსრ კანონისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ" საქართველოს სსრ კანონის შესაბამისად ჩაიარა.

(საქინფორმი).

მცხეთის სახალხო დეპუტატთა რაიონული საბჭოს სესია

...ქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის წინ

გამოცდა მთებმა ჩაიბარეს

იმ მშენებლებისა და მემონტაჟეების სიამაყე და სიხარული, რომლებმაც ვადამდე ერთი წლით ადრე გაიყვანეს კავკასიონის მთავარ ქედზე 500-კილომეტრიანი ელექტრო-გადამცემი ხაზი, სამართლიანად გაიზიარეს ავიატორებმა. ვერტმფრენავები ხომ აქტიურად მონაწილეობდნენ ენერგოტრასის ურთულეს უბანზე მუშაობაში, სადაც უძლური იყო სხვა ტექნიკური საშუალებები.

დეპეშიდან: „ვულოცავ ენგურჰეს-სტავროპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის მაღლივი ხაზის მშენებლობის მონაწილეებს უნიკალური ელექტროგადამცემი ხაზის ამოქმედებას, რომელმაც ზღვის დონიდან სამი ათას მეტრ სიმაღლეზე გაყვანილი 500 კილოვოლტი ძაბვის ხაზით დააკავშირა ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის გაერთიანებული ენერგოსისტემები. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი მი-10კ და მი-8 ვერტმფრენავების ეკიპაჟებს თავდადებული შრომისათვის მაღალმთიანეთის ურთულეს ტოპოგრაფიულ და კლიმატურ პირობებში. სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მინისტრი პ. ს. ნეპოროჟნი".

...მი-8, რომელსაც ალბერტ ვექტორის ძე ალექსანდროვიჩი მართავდა, ჩრდილოეთიდან მოჭარული ციცაბო კლდეებისაგან თავის დასაღწევად სულ უფრო მაღლა და მაღლა მიიწევდა. მანქანა მიუყვებოდა ღრმა ხეობებში მიმალულ ბობოქარ ენგურს, რომელმაც ჰიდროელექტროსადგურის ერთი მილიონ ასი ათას კილოვატზე მეტი სიმძლავრის ტურბინებს მისცა ძალა და ორასორმოცდაათი მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხალის მეშვეობით ხელოვნური ზღვა შექმნა კავკასიონის მთისწინეთში. ოდნავ შესამჩნევ ვერცხლისფერ პუნქტირად მოჩანდა ზემოდან კალაპოტის გასწვრივ განლაგებული საყრდენები და ელექტროგადამცემი ხაზის სადენები. პილოტისათვის კი ეს პუნქტირი მისი საფრენოსნო ბიოგრაფიის ერთ-ერთ მაგისტრალურ მარშრუტს აღნიშნავდა. რაც გინდა, თქვი და თავისი მეტოქისა და მეგობრის მერაბ ლაფაჩის ეკიპაჟთან ერთად მან სამი წლის განმავლობაში მთებში მიუვალ ერთი ცადა პოსტებზე თითქმის ექვსი ათასი ტონა სხვადასხვა სამშენებლო ტვირთი ჩაიტანა — 600 ათასი საათი დაჰყო ჰაერში.

ა. ალექსანდროვიჩისა და მ. ლაფაჩის საფრენოსნო დახასიათებებიდან: „ქუთაისის ავიაქვეგანაყოფის პილოტი ამხ. ა. ალექსანდროვიჩი სრულყოფილად ფლობს ვერტმფრენავების პილოტირების ტექნიკას, ფრენის საერთო სტაჟი 9.800 საათს შეადგენს. იგი ინიციატივიანია, აქვს ეკიპაჟის მეთაურისათვის საჭირო თვისებები.

ქუთაისის ავიაქვეგანაყოფის პილოტს ამხ. მ. ლაფაჩს 5 ათასი საათი ფრენის საერთო სტაჟი აქვს. მისი ეკიპაჟი მუდმივად მონაწილეობს რთული დავალებების შესრულებაში..."

— პირველად მომიხდა მუშაობა ისეთ მშენებლობაზე, როგორიც ეს ელექტროგადამცემი ხაზია, — გვიზიარებს შთაბეჭდილებებს ალბერტ ვექტორის ძე. — სერიოზული მოსაზრების გავლა მოგვიწია. ზოგჯერ ტექნიკის შესაძლებლობების ზღვარზე ვმუშაობდით — გარედან ჩამოკიდებული სამი და მეტი ტონა ტვირთით სამი ათას მეტრზე ავდიოდით ხოლმე. არცთუ ისე იშვიათად ისეც ხდებოდა, რომ ჰაერის ცვალებადი ნაკადები ძლიერ არყევდნენ მანქანას, გვიძნელებდნენ ტვირთის მიტანას.

დიახ, ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლები უვერტმფრენოდ ვერ გაიდოდნენ. ლრუბლებს აცილებული ელექტროხაზის უძნელესი უბანი კლდოვან ხეობებსა და ციცაბოებზე გადის. ხახარის უღელტეხილზე ტრასის სადენები გაჭიმეს მემონტაჟეებმა, რომლებსაც ს. წოწორია მეთაურობს.

— ჩვენს განკარგულებაში იყო დიდი გამავლობის საწევრები, ბულდოზერები და ავტოამწეები, — ამბობს იგი. — ყოველ საყრდენამდე თითქმის ჩვეულ კლდეებში გვიხდებოდა გზის გაყვანა სასაქირკვლე ბლოკების, ლითონკონსტრუქციების, იზოლატორებისა და სადენის მისატანად, მაგრამ ზოგჯერ ეს მძლავრი და მრავალფეროვანი ტექნიკაც ვერას ხდებოდა, და ასეთ დროს მფრინავები გვშველოდნენ.

ელექტროგადამცემი ხაზი-500 ტექნიკური დახასიათებიდან: ზამთარში მაღალი მთის „ელექტროულეტხილი" თვითონ დაიცავს თავს გაყინვისა და გაწყვეტისაგან. საამისოდ მონტაჟდება სპეციალური ტრანსფორმატორები, რომლებიც სასიგნალო მოწყობილობით არიან დაკავშირებული ელექტროგადამცემ ხაზთან — საჭიროების შემთხვევაში ისინი ყინულის ოპერატიულ დნობას უზრუნველყოფენ.

— მშენებლობის დროს ჩვენ, მფრინავები, ხაზის მონტაჟის მაწარმოებელი „კავკასელექტროქსელმშენის" ტრესტის ნოვატორთა თანაავტორები გავხდით, — ამბობს მერაბ სულიკოს ძე ლაფაჩი. — ერთობლივად დანერგილმა რაციონალიზატორულმა წინადადებებმა იმდენი სადენი, ლითონკონსტრუქცია და რკინაბეტონი დაგვაზოგვინა, რომ ეს რაოდენობა სავსებით გვეყოფოდა ასეთივე სიმძლავრის 44 კილომეტრი სიგრძის ენერგოტრასის გასაყვანად.

ქართველი მფრინავების გარდა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანაში მონაწილეობდნენ ქალაქ უხტის მფრინავები საბჭოთა კავშირის დამსახურებული პილოტის, სსრ კავშირის სახელმწიფო პრე-...

... ა. ჭანტურიაძე, საქინფორმის კორ.

გამოვრიცხოთ კოსმოსი გამალებული შეიარაღების სფეროდან

დელეგაცია გაემგზავრა

13 დეკემბერი

უცხოეთში

ფაქტები, მოვლენები, საქმეები, იუწყება

● ინგლისი

უაღრესად საიდუმლო ვითარებაში

ლონდონი. დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან ჯ. ჰაუსთან მოლაპარაკებით დაიწყო ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჯ. შულცის ტურნე ევროპაში. როგორც ადგილობრივი პრესა აღნიშნავს, ამ შეხვედრის დროს, რომელმაც უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ჩაიარა, განიხილეს, კერძოდ, ამერიკული ფრთოსანი რაკეტებისა და „პერშინგ-2" რაკეტების შემდგომი განლაგების საკითხები.

ჯ. ჰაუსთან შეხვედრა პირველი ეტაპია კონსულტაციებისა, რომლებსაც ამერიკის დიპლომატიური უწყების მეთაური გამართავს ნატოს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ხელმძღვანელებთან. შულცის მოგზაურობის უმნიშვნელოვანესი ნაწილი გახდება ნატოს საბჭოს სესიაში მონაწილეობა, რომელიც გაიმართება ბრიუსელში.

როგორც მოსალოდნელია, აღნიშნავს როიტერის სააგენტო, ბრიუსელში შულცი გაძლიერებით შეეცდება ბელგიისა და ჰოლანდიის ხელმძღვანელები დაითანხმოს მათს ქვეყნებში ფრთოსანი რაკეტების განლაგებაზე.

● ინდოეთი

მოწოდება სიფხიზლისათვის

დელი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა რაჯივ განდიმ ინდოელ ხალხს მოუწოდა გააძლიეროს სიფხიზლე საზღვარგარეთიდან წაქეზებული ექსტრემისტების საშიში ხრიკების მიმართ. ქალაქ ლაკჰნაუში (უტარ-პრადეშის შტატი) გამართულ მასობრივ მიტინგზე გამოსვლისას მან თქვა, რომ პენჯაბის, ჯამუსა და ქაშმირის, ასამის შტატებში ანტიეროვნული ელემენტების ამასწინანდელ ძირგამომთხრელ აქციებს „მხარს უჭერდნენ გარკვეული საგარეო ძალები".

პრემიერ-მინისტრმა გამოთქვა რწმენა, რომ ინდოეთის ხალხი ჩაფუშავს რესპუბლიკის მტრების ავბედით ზრახვებს, რომლებიც ცდილობენ გათიშონ ეროვნული ერთიანობა, ძირი გამოუთხარონ ინდოეთს და შეასუსტონ იგი. „ჩვენი ქვეყანა საკმაოდ ძლიერია და გაუძლებს უცხოეთის ყოველგვარ მოძალეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის მის ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობას", — ხაზი გაუსვა რ. განდიმ.

● მავრიტანია

სამხედრო გადატრიალება

პარიზი. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ნუაკშოტიდან გადმოსცემს, მავრიტანიაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. ნუაკშოტის რადიოთი გადაცემულ ოფიციალურ კომუნიკეში იუწყებიან, რომ ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოდ რჩება ეროვნული ხსნის სამხედრო კომიტეტი. მისი თავმჯდომარე გახდა მავრიტანიის არმიის გენერალური შტაბის უფროსი, ყოფილი პრემიერ-მინისტრი პოლკოვნიკი მაუია ულდ სიდი აჰმედ თაია. სახელმწიფოს დამხობილი მეთაური პოლკოვნიკი მოჰამედ ხუნა ულდ ჰეიდალა ამჟამად ბურუნდის დედაქალაქ ბუჟუმბურაშია ფრანგულენოვანი აფრიკისა და საფრანგეთის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაზე. რადიო აღნიშნავს, რომ ეროვნული ხსნის სამხედრო კომიტეტის ყველა წევრი, ულდ ჰეიდალას გარდა, ინარჩუნებს თავის პოსტს.

რეალიზმის პოზიციებიდან

ვაშინგტონი. თვალსაჩინო ამერიკელ სენატორთა ჯგუფმა რეიგანის ადმინისტრაციას მოუწოდა დაიცვას შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების არსებული შეთანხმება.

პრეზიდენტ რეიგანისათვის გაგზავნილ წერილში, რომელსაც ხელს აწერენ რესპუბლიკელები ჩ. ჰეფი და ჯ. ჰაინცი, აგრეთვე დემოკრატები პ. ლიჰი და დ. ბამპერსი, ხაზგასმულია, რომ „ვალდებულება, თავი შეიკავონ არსებულ შეთანხმებათა დარღვევისაგან, პოზიტიურ ატმოსფეროს შეუქმნიდა საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებას".

შეიარაღებისადმი კონტროლის მომხრეთა კოალიციაში გამოსვლისას გავლენიანმა დემოკრატმა სენატორმა ე. კენედიმ მოითხოვა, რომ კონგრესმა დაუყოვნებლივ დაამტკიცოს ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებანი ბირთვული იარაღის გამოცდის შეზღუდვისა და მშვიდობიანი მიზნით მიწისქვეშა ბირთვული აფეთქებების შესახებ. „დროა ჩამოვიდეს, — აღნიშნა მან, — ადმინისტრაციამ უნდა დაადასტუროს, რომ დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს უკვე არსებულ შეთანხმებათა შენარჩუნებას, რომლებიც შეიარაღებისადმი კონტროლის ...

ამერიკელი სენატორების წერილი პრეზიდენტ რეიგანს

● ლონდონი

ამბავთა მოთხრობა

● დემოგრაფია

ამერიკის ნამდვილი სახე

ჰონდურასი დღეს ფაქტობრივად ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ოკუპირებული სახელმწიფოა. მოკლე დროში, აღნიშნავს გვატემალის გაზეთი „ინფორმადორ გერილიერო" — ამბოხებულ ლარიბთა არმიის ორგანო, იმპერიალიზმმა ქვეყანა სანდინისტური რევოლუციის, სა-...

ჰონდურასი—პენტაგონის სამხედრო ფორპოსტი

დიდი ეროვნული საქმე

გვესაუბრება ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი, პოეტი-აკადემიკოსი ირაკლი აბაშიძე

გამოვიდა ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მერვე ტომი. მან ამ სამეცნიერო ცნობარის საზღვრები გააფართოვა ტერმინ „პედაგოგიდან" ტერმინ „სამეულამდე", 5500-მდე ახალი ტერმინ-სტატიით შეავსო ქართულენოვანი საენციკლოპედიო ყამირი. ახლა ჩვენი მკითხველის წიგნის თაროს, თუ ქართულ და რუსულ ენებზე გამოსულ საქართველოსადმი მიძღვნილ სპეციალურ ტომებსაც ჩავთვლით, უკვე ათი ტომი ამშვენებს. სულ ამ ტომებში 45 ათასამდე ტერმინია განმარტებული. ქართული საბჭოთა ენციკლოპე-…

…მოძღვრების საფუძველზე გაშუქდა ქართველი ერის, ქართული სამეცნიერო აზრის დამოკიდებულება ისტორიის, გეოგრაფიის, ეკონომიკის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, კულტურისა და მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ აქტუალურ საკითხსადმი.

ამ მხრივ მერვე ტომს დიდი იდეოლოგიური დატვირთვა ხვდა წილად. მის სპეციფიკას განსაზღვრავს ისეთი წამყვანი სტატიები, როგორიცაა „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი", „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია" და მათთან განუყრე-…

…ლები, რომელთა მეშვეობითაც მათში შემავალი საკითხები ტალღისებურად ვრცელდება სხვადა-…

…ციფიკური ხერხებით წყვეტს მთელი გამოცემის წინაშე დასმულ ამოცანას — იყოს თავისი ეპოქისა და ხალხის ღვიძლი შვილი, იდგეს თანამედროვე სამეცნიერო-საცნობარო მოთხოვნათა დონეზე, მარქსისტულ-ლენინური …

…„რსფსრ" და სხვა.

ანბანური რიგის არა მარტო თავი მოუყარა ერთ ტომში ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ ამ ტერმინ-სტატიებს, არამედ მათ ირგვლივ დააჯგუფა მონათესავე სტატიათა მთელი ციკ-…

…ბით („პირველი დასი", „რკპ(ბ) კავკასიის სამხარეო კომიტეტი", „რსდმპ ბათუმის კომიტეტი", „რსდმპ თბილისის კომიტეტი" და ა. შ.), ისე თვით ამ ვრცელ სტატიებში საგანგებო ქვეთავების და მონაკვეთების ჩართვით (მაგ. …

…წლის პოტსდამის კონფერენცია, რეინესანსი და ა. შ., მსოფლიოს თანამედროვე თუ ძველი ქვეყნების ისტორია, გეოგრაფია, ეკონომიკა, კულტურა, საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქალაქები: პიატიგორსკი, პნომპენი, …

…ხელმძღვანელი სარედაქციო აპარატის, მთავარი სარედაქციო კოლეგიის 150-ზე მეტი ავტორის ტიტანური შრომა დაიხარჯა.

შემოქმედებითმა სარედაქციო კოლექტივმა ფართოდ წარმოადგინა ქართულ სინამდვილე-…

…დონეზე. პოლიგრაფიის დარგის მუშაკთა მონდომებული შრომის შედეგია ისიც, რომ ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ 1984 წელს ხელახლა ორი ტომი გამოსცა. (საქინფორმი).

ბრიტანეთი ფოტოსურათებში

„დიდი ბრიტანეთი დღეს" — ასე ეწოდება საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების დარბაზებში გახსნილ ფოტოგამოფენას. იგი მოეწყო კულტურის საკითხებზე ორი ქვეყნის სახელმწიფოთაშორისო შეთანხმების ფარგლებში და მეგობრობის საბჭოთა საზოგადოებათა კავშირისა და „დიდი ბრიტანეთ-სსრ კავშირის" ასოციაციის ხელშეწყობით.

ექსპოზიციის გახსნაზე გამოსვლისას საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ნ. მელაძემ გამოთქვა რწმენა, რომ …

…შემატებს მეგობრობისა და ხალხთა შორის ურთიერთობების გაღრმავების საქმეს.

სსრ კავშირში დიდი ბრიტანეთის საელჩოს პირველმა მდივანმა, კულტურის საკითხთა ატაშემ მაიკლ ფ. სალივანმა მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის მასპინძლებს. მან აღნიშნა, რომ გამოფენის ძირითადი ამოცანაა გააცნოს საბჭოთა ადამიანებს დიდი ბრიტანეთის დღევანდელი ცხოვრება, ქვეყნის მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარება, სოფლის მეურნეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის მიღწევები. როგორც მაიკლ ფ. სალივანმა თქვა, გამოფენა „დიდი ბრიტანეთი დღეს" მოწმობს, რომ ორ ქვეყანას შო-…

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში

მოსკოვი

პრეტენდენტის პირველი გამარჯვება

ოცდამეთორმეტე პარტიაში კასპაროვი ისევ დაუბრუნდა თავის ძირითად დებიუტს — ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო თამაში. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მისმა ცდამ რაიმე „მოეხერხებინა" რუსული პარტიისათვის, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონი ირჩევდა, შედეგი არ გამოიღო. ამჯერად გათამაშდა ახალინდური დაცვა. ამასთან პრეტენდენტმა ისევე, როგორც მეათე პარტიაში, მიმართა მსოფლიო ექს-ჩემპიონ პეტროსიანის მიერ დამუშავებულ …

…გამსვლელი პაიკი ლაზიერის ფრთაზე. თუმცა ლაზიერების ენდშპილს სქელტანიანი წიგნები მიეძღვნა, მსგავსი დაბოლოების მოძებნა ამ გამოკვლევებში შეუძლებელია. ახლა ყველაფერი მეტოქეთა ანალიზზეა დამოკიდებული.

ძალზე რთულ პოზიციაში კასპაროვმა 41-ე სვლა ჩაიწერა.

ოცდამეთორმეტე პარტია

კასპაროვი — კარპოვი

ინფორმაცია — 84 ● ინფორმაცია — 84 ● ინფორმაცია — 84

ეს სახლები წლეულს აშენდა



ტექნიკუმი 60 წლისაა

ამბროლაური. (საკ. კორ.) ს. ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი პირველი ზარი 1924 წელს აჟღერდა. მას შემდეგ უკვე 60 წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე ტექნიკუმმა სხვადასხვა პროფესიის ოთხი ათასამდე სპეციალისტი გამოზარდა.

იუბილარი ტექნიკუმი ახლა ერთ-ერთი დიდი სასწავლო დაწესებულებაა რაიონში. …

ახალი სკოლა ქალაქში

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში

აბაშა

დებიუტი...

დაველოდოთ გაზაფხულს

სატურნირო ორბიტა

კომუნისტი